

რედაქცია: სოლოლაკზე, სერგიევის ქუჩაზე, ივ. ამილახოვის სახლში № 8.

ქანტორა რედაქციისა: სერგიევის ქუჩაზე, ივ. ამილახოვის სახლში, № 8.

ხელის-მოწერა მიიღება კანტორაში. შარეშე მცხოვრებთათვის: ВЪ Типографіи. Въ редакцію газ. „Дროаბა“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—3 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვისა—3 მან.

ყოველ დღე ორგაზათს გარდა

# დროება

საქაე ნოემერი ღირს შაშუკათი

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე.  
ფასი განცხადებისა: დღი ასოვებით ასოვებ—1 კაპ., ასო-მთავრულით, ტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდებელი გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

მოგაგვალს 1879 წელს გაზეთი

## „დროება“

გამოვა ვუდავმ დღე და იგავე პროგრამითა და მიმართულებით როგორც აქამდინ გამოდიოდა.

ხელის-მოწერა

მთელისში—მიიღება „დროების“ რედაქციაში (სერგიევის ქუჩაზე, ივ. ამილახოვის სახლებში, № 8).

შარეშე მცხოვრებთა ამ აღრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: ВЪ Типографіи. Въ Редакцію газ. „Дроаба“.

აგენტების საშუალებით გაზეთის დაბარება შეიძლება მხოლოდ იმ პირობით, რომ ფული გაზეთის დაბარებისათვის უნდა იყოს რედაქციაში გამოგზავნილი.

გაზეთის ფასი

მთელის წლისა	— — — — —	8 მან.
ნახევარის წლისა	— — — — —	5 „
სამის თვისა	— — — — —	3 „
მრთის თვისა	— — — — —	1 „

მხოლოდ ამ ვადებით შეიძლება გაზეთის დაბარება.

ხვედრი ფასი გაზეთისა დაბარებისათვის უნდა იყოს გამოგზავნილი; უფულოდ გაზეთი არავეს არ გაეგზავნება.

## საქართველო

დღიური

\* \* \* სოტ-კოტათი იწყება „აღმორჩევითი მოძრაობა“ ჩვენს ქალაქში. როგორც იოგენსენებთან, შალაქის რჩევის ხმოვანთა ამორჩევა მომავალი ოთხი წლისათვის მომავალს ქრისტეშობისთვის არის დანიშნული, — პირველი რაზრადის ამომრჩეველებისა 12 ქრისტეშობისთვის, მეორე რაზრადისა—15-ს და მესამესი—18-ს.

მაგრამ ახლავე ბევრი სჯა და მოლაპარაკება ისმის ქალაქში. და ამ სჯილამ და ლაპარაკილამ ჯერ-ჯერობით მხოლოდ ის საზოგადო ჰაზრი შეიძლება გამოიყენოს კაცმა, რომ ქალაქი უკმაყოფილოა ახლანდელის თავის წარმომადგენლებისა და, უეჭველია, რომ, მომეტებული ნაწილი თუ არა, ნახევარი მაინც ამ ხმოვანებისა, თუ ამათ კენჭი იყარეს, გაშავებული იქნებიან. ახალ კაცებზე, ქალაქის საზოგადო ინტერესებისათვის უფრო გულ-შემატებელი კაცებზე აქვთ ლაპარაკი.

რაიცა შეეხება შალაქის თავს, რამდენიმე ახალი კანდიდატი გამოდის ასპარეზზე; ასახელებენ, სხვათა შორის, უ.უ. ანტონ შორდანოვს, თ. პოსტ. პ. ბებუთოვს, მის. პლიხანოვს, პ. რეიტერს, თ. იაზონ თუმანოვს და სხვებს. მაგრამ თავის ამორჩევა იმაზედ იქნება, რასაკვირველია, დამოკიდებული, თუ ხმოვანები როგორები იქნებიან.

რალა თქმა უნდა, რომ ამ საგანს ჩვენ კიდევ დაუბრუნდებით, როცა კენჭის-ყრის ვადა უფრო მოახლოვდება.

\* \* \* მაზეთს „ბავკაში“ იწერებიან: ჩვენ შევიტყუეთ, რომ ამ მოკლე ხანში უმაღლესს მმართველობას უნდა წარუდგინონ წესდების პროექტი საზოგადოებისა, რომელიც იმ განზრახვით არსდება, რომ მთელიისისა და მთეთისის გუბერნიის ქართველ მცხოვრებლებში გაავრცელოს განათლება. ეს საზოგადოება, რომლის დამაარსებლები ადგილობრივი თავად-აზნაურობაა, თავის მიზნის მისაღწევად აპირებს პირველ-დაწყებით უკოლების, ბიბლიოთეკების დაარსებას, ქართული სახელმძღვანელო და

საკითხავი წიგნების გამოცემას, მასწავლებლების მომზადებას და სხვ.

სწავლა ამ საზოგადოების უკოლებში მხოლოდ სამშობლო ენაზედ იქნება; მაგრამ რუსულ ენის შესწავლასაც მიაქცევენ, რასაკვირველია, ჯეროვან ყურადღებას.

შველას, ვინც ექვს მანეთს შეიტანს წელიწადში, შეუძლია გახდეს ამ საზოგადოების წევრად კენჭის-ყრით.

\* \* \* ჩვენ შევიტყუეთ, რომ ამ მოკლე ხანში ორი ქართული წარმოდგენა მზადდება; უკანასკნელი წარმოდგენების გამმართველნი ქართული სცენის მოყვარენი ამზადებენ ოსტროვსკის კომედიას—

„შემოსავლიანი ადგილი“ წარმოდგენას; სხვა მოყვარეები კი, როგორც გვითხრეს, უფ. სუნდუკიანის „პეპოს“ ამზადებენო.

\* \* \* უ.უ. პ. მესხსა და ივ. აბაშიძეს შორის ამტყდარის პოლემიკის თაობაზე ჩვენ მოგვივიდა ამ დღეებში ორი ვრცელი შენიშვნა გაზეთში დასაბეჭდავ, ერთი უფ. პ. შიჭინაძისა და მეორეც კიდევ თ. ივ. აბაშიძის. უკაცრავად ნუ ვიქნებით ავტორებთან და ვერც ერთს ამ წერილს ჩვენ ვერ ვბეჭდავთ.

მიზეზი პირველი (უფ. პლ. შიჭინაძის) წერილის დაუბეჭდაობისა ის არის, რომ უთქმელადაც ცხადია სიმტყუენე უფ. ი. აბაშიძის სიტყვებისა, რომ ვითომც უფ. პლ. შიჭინაძემ და პ. მესხმა შესტამეს თეატრის ფული 80 მანეთით, და ეს რომ ტყუილია, ამას გარდა უფ. პ. მესხის წერილშიაც კარგათ იყუ დამტკიცებული. და ამნაირად ჩვენ არ დავინახეთ საჭიროთ, რომ ამაზე სიტყვა გაგვეგრძელებინა.

რაიცა შეეხება უფ. ივ. აბაშიძის პასუხს, ამ პასუხში ის არაფერს ახალს არ ამბობს, სხვა ფრაზებით იმეორებს იმას, რაც აღრე სიტყვა გაზეთშივე.

ჩვენი აზრი ამ საგნის შესახებ ეს არის: ცხადთ დამტკიცდა, რომ უფ. ივ. აბაშიძეს ქართული თეატრის ფული ექვს-ბევრი ლაპარაკი და გაზეთებში სტატი-



ების გაპრტყვლება რაღა საჭიროა? წარუდგინოს უფ. აბაშიძემ იმ წრეს, ან წრისაგან ამოუორჩეულ პირებს, ფული, რომელიც იმას ამხანაგების დანდობით აქვს მიბარებული, და საქმე გათავდება ამას რაღა ბევრი ჩიხინი ეჭირება!...

**იმაერთის სამღვდლოების კრება**

მუთაისი, 18 ნოემბერს.

როგორც ამას წინეთ მოგახსენეთ, უკანასკნელი კრება ჩვენი დეპუტატებისა დანიშნული იყო მუთაისში 16, 17, 18 და 19 ამ ნოემბერს.

16 ნოემბერს ათის მეტი არ მოსულა დეპუტატო. ამ დღეს მისი ყოვლად-უსამღვდელოესობა იმერეთის ეპისკოპოსი ბაბრიელი წაბრძანდა ქ. თფლისს, და წასვლის დროს დაუტოვა ყრილობას შემდეგი შინაარსის მიწერილობა:

„მეცამეტე იმერეთის სამღვდლოების კრებას.

„მოულოდნელის და აუცილებელად საჭირო გარემოებათა გამო მე მივდივარ თფლისში და არ ძალმიძს უხელმძღვანელო კრების სხდომების მსვლელობათა. ამისათვის წინადაუდებ კრებას, რათა მან მკაცრად დაიცვას მოთხოვნილებანი სასწავლებლის წესდებისა, არ გარდახდეს მათ და მოერიდოს ტყუილ-უბრალო და საქმის მანებელ ყაყაანს და კიცხვას. აღმოიჩინოს თავსმჯდომარედ ვინმე უთუოდ თვის შორის, ჰქონდეს სახეში მხოლოდ საჭიროებანი სასწავლებლისა; აღმოიჩინოს გამოცდილი პირნი და შეადგინოს კომისისია, რომელსაც მიანდოს საქმე გარეშე მოსწავლეთა საზოგადო ბინის აღშენებაზედ, რომლის პროექტი სასწავლებლის ზედამხედველსა და მომხმარებელსა უნდა შეეწინააღმდეგოს.“

ხედველის მიერ შედგენილი და ჩემ მიერ განხილულნი წარმოდგინება კრებას. ღარიბ შაგირებს სამას მანეთზე დაუმატონ შეაწვენიელად კიდევ ასი მამეთი, რადგან მათმა რიცხვმა წელს მოიმატა.“

სხვა წინადადებანი არც ერთი არ არის განსაზღვრული. მინ უნდა დაამტკიცოს თავსმჯდომარე, ურომლოთაც კრებას არა-ვითარი მოქმედება არ შეუძლიან, — ამაზე არც ერთი სიტყვა არ არის ნათქვამი...

შენს მტერს დაებნა გზა ისე, როგორც დეპუტატებს გზა დაებნათ ამ კრებაზე. ბევრი ლაპარაკი იყო იმაზე, რომ ვიკარი მობრძანებულიყო და საჭირო ყურადღებები დაემტკიცებია, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მას არავითარი მინდობილება არ ჰქონებია. მივიჩნის, მართლა, რათ დაინიშნა ვიკარი, თუ ამისთანა საჭიროების დროს ის ვერ გაარიგებდა ამ გვარ საქმეებს?

17 და 18 რიცხვს ძლივს 38 დეპუტატი მოვიდა. ამათ მოიყარეს თავი ერთ სასწავლებლის ოთახში. აქ ბრძანდებოდა წარსული წლის ყრილობის თავსმჯდომარე. ამ დროს უეცრათ ერთმა ნაღბირატელმა კრებაში შემოიტანა უ. ასათიანის წამასხურებით სია, რომელიც წარდგინებასთან იგზავნებოდა ჯილდოს მისაღებელად. ორმა-სამმა დეპუტატმა ნახა და წააკითხა. აი სხვათა შორის რა ეწერა შიგ დიდი ასოებით:

„უფ. ასათიანს, სასწავლებლის ზედამხედველს, მეთორმეტე იმერეთის სამღვდლოების ყრილობამ 2-ს ნოემბერს 1877 წელსა გამოუცხადა გულითადი მადლობა სასწავლებლის საქმეებზე მზრუნველობისთვის და შაგირების კარგად მომზადებისთვის.“

როგორც გაიგეს ეს სხვა დეპუტატებმა,

ქ. და მოგყავითო. ჩვენ დაუჯირვით და როცა გორაზე ვევიდით, საიდაძლაც გამოტყვრა რუფა ქურთი და გაგვიქნეს (გაგვიცარცეს). შეგვიკრეს თვალი, ხელი, ფეხი და ისე დაგვტოვეს, მინამ ვილაც მგზავრებმა არ გაგვიხსნეს თოკები. ახლა მევედით ციხეში (არტაანს ციხეს ეძახიან), ვიხილეთ ნაჩალიკთან და აი ეს ოცი ღლეა სულ ამას გვითხრობს: „ხვალ მოდი, ხვალ მოდიო“. ახლა, ბატონო, ალლა საღეთსან (ღმერთი გადღეგრძელებს), გაგვეხმარე აგებ დროისად გეგვიკეთო საქმე. ოცი ღლეა სახლშიდ მუშაობას ვცდებით, ჯანუბ და საქმელი პურიც კი გამოგველია აქ.“

მე ამათი შეველა ვერ შევიძელ და თითონ უშველეს რამე თავიანთ საქმეს თუ არა, ამისიც არაფერი არ ვიცი. მხოლოდ ეს კი ვიცი, რომ ეს აჭარელები ამის შემდეგ ერთი ოცი ღლე კიდევ დაიარებოდნენ ისევე ისე დაღრეჯილები.

—  
მქტომბრის ნახევარში მე მომიხდა ყოფნა ს. შარდევანში. იქ ყანები დაემკოთ და ისევე ისე გასაღწია ედგათ.

მივარდენ იმ პატიოსან თავმჯდომარეს და მოითხოვეს მისგან... გა-მოუცხადა ეს ყრილობამ და... ეს ამბავი, როდესაც ისინი წარსული წლის სხდომაზე იყვნენ, მაგრამ არავინ ამაზე მას თანახმა არ გაუხდა? ნახეს მართლა ერთი საცოდავი სიგელი, რომელიც ხუთი მღვდლის ხელ-მოწერილი აღმოჩნდა, იმისთანების, რომელითაც შეიღებები სასწავლებელში სწავლობენ დღეს.

ეს მღვდელი აღარ დანიშნეს სამღვდლოების დეპუტატებმა თავსმჯდომარედ და ბევრმა ძრიელ დიდი საყვედური გამოუცხადა. ამ მღვდელს-დეპუტატს თურმე 82 მანეთი შკოლის შესაწვენილი ფული არ შემოუტანია დღემდისინ. მთავრობამ გამოუცხადა მას, რომ იგი არავითარს შეკრებილებაში არ იქნება მიღებული, თუ ეს ფულები არ შემოუტანია. 18 რიცხვს ამ თვისას დილით შემოიტანა იმან 82 მანეთი, მაგრამ თავსმჯდომარეთ მაინც აღარ აღიჩინეს... ეს იყო უბედურება!...

უყარეს კენჭი და 35 ხმის უმეტესობით სამ ხმაზე მღვდელი მასილ მუთათელაძე აღიჩინეს თავსმჯდომარედ. მაგრამ მისი არჩევის სიგელი დღესაც დაუმტკიცებელია და რა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ამ კრების მოქმედებას, ამისი აღსნა თქვენზე მომინდვია.

ცოტა ხნის შემდეგ ვიღრსნენ დიპუტატები იმ ზედამხედველის შედგენილ პროექტის ხილვას, რომელზედაც ბევრი კება გაეგონათ სხვებისგან. ეს პროექტი რაღაცა შესანიშნავი ეგონათ მათ, ვინც ზედამხედველს კარგად ვერ იცნობდა და ვინც მას კარგად იცნობდა. არაფრის გასაკვირველ პროექტს მისგან არ მოელოდნენ... ეს გახლავს ერთ ფურცელ ქაღალდზედ დაწერილი მოხსენება უ.

**ფელტონი**

არტაანის აგავაი \*)

ამას წინათ ორი აჭარელი თითქმის ერთი თვე დაიარებოდნენ არტაანში გულ-ხელ-დაკრფილი და საცოდავთ დაღრეჯილები, და ამ ხანში როდესაც მომიხდა ხილზე ვაეღა, ისინი ყოველთვის იქ დამხედებოდნენ ხოლმე. მათხელ გამოეკითხე მიზეზი იმათი აქ მყოფობისა და ასე მოწყენისა და აი რა მიპასუხეს:

— ჩვენ, ჯანუბ, აჭარელი ვართ. მიშოვეთ ერთი 150 მანეთი და ერთი ცხენი. ზამოვირონიეთ მურთის სოფლებისკენ ცხენების საყიდლათ. სუყველა იმას ვეითხრობდა: ეხლა ურუსობაა, უხანთუნი თავზე რო დეილა და ისე ირონიო, ჭიქრეთმა ბარზადა (ფიქრი ნურაფრისა გაქვს) და ჩვენც ერთი დანაც არ წემოვიდეთ, ისე წემოვედით. მევედით ერთ მურთის სოფელში და იქ ვეითხრობიეს: ცხენები გყავს იმა გორაზე, წვეილეთ

\*) იხ. „დროება“, № 214.

ართვინილ სომხობასაც ძალიან უჩივიან. მრთმა მოხუცებულმა ართვინელი სომხების ქცევაზე ერთი მოლლა-მასრადინის ანდაზა მითხრა, რომელიც არ დაიბეჭდება და რომელიც თავის აზრით ჩამოგავს ძრილობის არაკა—ვირი რო შეჭვივის მელას, დაბერებულს და მოუძღურებულს ლომს, სხვათაშორის, მეც ერთი კარგი წიხლი ვესროლოო...


ამას თავი დაიანებოთ და შევიდეთ თითონ არტაანში.

ხილიდამ ერთი გზა, მარჯვნივ შედის შიგ ძველებური ციხის გაღაგანში, სადაც ნაცნობი შტიკების მეტს იგრას ნახავთ და ამისათვის სჯობს ისევე მარცხნივ ავიაროთ.

მიწრო დასაშინელი ჭუჭყიანი ქუჩა. ორივე მხრივ ამ ქუჩისავე შესაფერი სახლები. მუჩის ერთ მხარეს დილით საღამომდინ მზე დაჰყურებს.

წელ-მოწყვეტილი არტაანელები რის ვაი-ვაგლახით მორჩინენ კალოებს და ეხლა ვისიმე ნახვა რო გინდოდეთ, ამ





სათიანისა ყოვლად-სამღვდელოსადმი. აი მისი შინაარსი:

უნდა აშენდეს ექვსი სახლი თითო-ეტიანი სასწავლებლის სიხლოვეს, რომლებშიცა უნდა იქმნეს თვრამეტ-თვრამეტი ოთახი. ოთახები უნდა იქმნეს იმოდონეები, რომ ათ-ათი შაგირდი დაეტიოს. შუაზედ ყოველ ოთახში უნდა იყოს ერთი გრძელი სტოლი და კედლებისაკენ კრაოტები. ასე რომ ერთსა და იმავე ოთახში საწოლიც უნდა ექმნეს და კიდეც უნდა სწავლობდნენ. ერთ დიდ ოთახში უნდა ჰქონდესთ თავისი ბარგი ყველას. ამ სახლებში ორი ზედამხედველის (ნადზირატლის) სადგომი უნდა იყოს და რადგან საჭირო იქმნება განსაკუთრებული თვალყურის დევნა, შაგირდებისა, რაპოდენიმე მასწავლებლის სადგომიც აქვე უნდა იქმნეს.

ამ სახლებისათვის ქვა მახლობლად შეიძლება იშოვოს კაცმა, რადგან კლდეები ახლოს არის და სამღვდლოება თუ ქვიშას, კირს და ხის მასალას მოიტანსო, (რასაკვირველია, რაჭიდან, შორაპნიდან, საჩხერიდან!), ძრიელ იაფათ დაუჯდებათო.

შემდეგ უფ. ზედამხედველი სთხოვს ყოვლად-უსამღვდელოებსობას, მისცეს წინადადება კრებას, რომ ეს პროექტი მიიღონ და დანიშნონ მცოდნე პირები-საგან კომისია სმეტის შესადგენად და სახლების პლანის ასაღებად და რაც შეიძლება ძრიელ ჩქარა ააშენონ ეს სახლები.

აი ეს განხილვისათვის შესანიშნავი პროექტი, რომლის მიღებას ურჩევნად სამღვდლოების დეპუტატებს უყაყანოდ. მართლაც, წაიკითხა თუ არა თავსმჯდომარემ ეს პროექტი, არავითარი ყაყანი დეპუტატებს არ დაუწყიათ. ჩუმათ ერთმა

ხუთიოდემ ვაიცინა, ოც-და-ათიოდემ სთქვა: „ამის წერას სხვა რომ რამე გეკეთებიათ ის სჯობდაო.“ და ერთ-ერთმა გადასწყვიტეს, დაუბრუნდეს პროექტის შემდგენელს, იქმნება რამეში გამოიყენოს თვითონა; ჩვეთვის საჭირო არ არის და არც შეგვიძლიან ამ სახლების კეთება, როდესაც სასწავლებელი არა გვაქვსო.

ზადაწყვიტეს, რომ ასი მანეთი, გაჭირებულ შაგირდების დასახმარებლად, სამას მანეთს კიდეც დაემატოს ჩვენი ფულებიდანო.

სხვა არაფერი წინადადება არ მისცეს კრებას და თავს-მჯდომარემ ყრილობა დახურა და დეპუტატები თავიანთ სახლებში წავიდნენ სამი დღის მუთაისის ქუჩების მტერის ყლაპვის შემდეგ.

ასე გადავდა ეს კრება, რომლის შეკრებაზე ხარჯი ბევრი წავიდა და საქმე არ გაკეთებულა ერთი კაპეიკისა. ასე გასიხვეთ, რომ სასწავლებლის სამართველოს მომავალი წლის ხარჯიც არ წარუდგენიათ განსახილველად და დასამტკიცებლად კრებისათვის, როდესაც ერთი კაპეიკის დახარჯვის ნება არა აქვსთ, სანამ კრება არ გადასწყვეტს და არ დაამტკიცებს სმეტას.

ძმარა, ღმერთმანი, ამდენი უწყსოება! ეს მეცამეტე შეკრებილება არის და როგორც დრო მოდის, ისე თან-და-თან როგორღაც მრავლდება უწყსოება და ხშირდება ტყუილია ხეტილი დეპუტატებისა. რამდენი კაცი სისულელეს რამეს დაჯღაბნის, იმისთვის უნდა იაროს დეპუტატებმა? წინეთ ყვიროდნენ, სასწავლებელი უნდა აშენდეს, თორემ ბავშვებს ვეღარ მივიღებთო და ეხლა ამას თავი დაანებეს და სხვა სახლებს აკეთებენ და იმასაც სად? იალბუზის მთაზედ.

ქუჩაში ჩამოიარეთ და უთუოდ აქ ნახავთ; სხედან მზის გულათ სითბოზე რაღაცნაირათ ჩამოცუტებულნი მწკრივად, მუსაიფობენ ერთმანეთში და თანაც დიდს გულმოდგინებით ეძებენ თავიანთ ტანთსაცმელში იმ წვრილს ცხოველებს რომელთა დიდრონი სამფლობელონი ოფილისის სასულიერო სემინარის და სასწავლებლის შეგირდებში განცხრომილან და კეთილდღეობენ უ. ი. ქუეშინსკის და ალ. პრდაზიანის მფარველობისა და მზრუნველობის ქვეშ...

ერთის სიტყვით, აქაური მცხოვრებლების თვითეული მოძრაობა, თვითეული ნაბიჯი, წარმოადგენს აღმოსავლეთური სიზარმაცის ნიმუშს.

წარმოიდგინეთ, სადამდის მიდის ამათი წელმოწყვეტილობა: საქონელს წყლის დასალევათ რო გარეკამენ, ნუ იფიქრებთ, რომ არტანელმა ფეხით იკადროს გავლა, გინდა ორი ნაბიჯი იყოს წყლამდინ, ის, უფუტვლად შებრძანდება ან ხარზე, ან კამბეჩზე, მოიბუზება ზედ მაიმუნი-სავით და ისე მიერეკება საქონელს, რომელიც ამავე წესით მიუდის საძოვრათ! მაშინაც კი არაშორდება საცოდავი

პირუტყვის ზურგს, როდესაც ურმებით თიგები ჩამოაქვთ მთებიდან. პატარა ლიტრით რო წყლის მოტანა უნდოდეთ, შეკმაზამენ საცოდავს დიდ-ყურას და ისე თნდა მოიტანონ.

ამ ქუჩის თავში, სადაც იწყობა „დელი ბაზარი“, რომელიც სიგძით იქნება 30 საყენი და სიგანიოაც სწორეთ ხუთი ნაბიჯი, სდვას ერთი მაღალი ქუჩყიანი ბალკონიანი სახლი, რომელშიაც ყავახანაა გამართული, შიგნით ეს ყავახანა ისე ბინძურია, რო შეხვიდეთ გული აგერევათ...

ჩავა თუ არა მზე, აიშლებიან ქუჩიდან ჩვენი პატივემულნი ჩალმოსნები და შეველენ ყავახანაში, სადაც ორივე მხრივ გამართულია კარებამდინ გრძელი და განიერი ტახტები, რომლებზედაც ქილობები აგია. აქვლენ ტახტზე უფრო პატივემულნი, ე. ი. მოზუნცი მოლლები, აჯები და სხ., მოიკეცამენ მარჯვნივ მხრივ და ისე მედიდურათ დაბრძანდებიან; ხოლო დანარჩენნი აქლემურათ ცუტქზე დასნდებიან. ეს აქაური ეტიკეტი განხლავთ: უმცროსს უფროსთან არ შეუძლიან მოკეცილი დაჯდეს!

იპიტომ, რომ სასაფლაო და ეზისკოპოსის სახლი არის ამ მთაზედ.

# უსხო ქვეყნები

## ინგლისი

სტამბოლიდამ იწერებინ, რომ აქაური ინლისის დიმი ლეიარდი აგროვებს მსურველებს ავგანისტანის წინააღმდეგ ინდოეთში გასაგზავნათაო; ის ურიგებს თურმე ფულს ოსმალეთში დასახლებულ ჩერქეზებსა და აგრეთვე ტრაპიზონის სანჯაყის ლაზებს; ბევრი ჩერქეზები ჩაეწერნენ; მაგრამ ლაზებში კი ძალიან ცოტა მსურველები იპოვნაო.

## ბოლგარიკა

„პოლიტიკურს ძორრესპონდენციაში“ იწერებინ, რომ ამ წლის ქრისტეშობისთვის პირველს იქნება ბოლგარიის მთავრის ამორჩევა. სახეში ბევრი კანდიდატები ჰყავთ, მაგრამ ყველაზე მომეტებული ხმა, როგორც ამბობენ, ექნებათ გრაფ იგნატიევს, მასილჩიკოვს, პრინც რეისს და ბატენბერგს.

## რუსეთი

პეტერბურლის პოლიციას უპოვნია ის ცხენი და შარბანი, რომელზედაც ისხდნენ და გაიქცნენ მეზენცოვის მკვლელები და იმის ამხანაგი. ამავე პოლიციას დაუტუსაღებია აგრეთვე ერთს ტრაქტირში ორი კაცი, რომელზედაც ეჭვი აქვთ, რომ მეზენცოვის მკვლელები ესენი არიანო. საქმის გარემოება აი როგორ ყოფილა:

ერთს საზოგადო საჯინბოს პატრონ-

შავახანის პატრონი მოართმევს პაწაწინა ფინჯნებით სწორეთ თითო ყლოუპა უშაქრო ყავას, დაწყებინებენ გუგუნს ყალიონებს და ჩიბუხებს და უფროსნი მედიდურად ლაპარაკობენ, ხოლო უმცროსნი სულგანაბულნი უგდებენ ყურას.


ჩაზნედა აქეთ ამ ყავახანაში სჯა, რა უფრო იპყრობს ამათ ყურადღებას, — თორეული ვნის უკოდინარობის გამო, სამწუხაროდ, ვერ გეტყვიო. მხოლოდ ეს კი ვიცი სხეებისაგან, რომ საგანი ამათი ლაპარაკისა უმეტეს ნაწილად აწინდელი სახელმწიფოთა პოლიტიკური მდგომარეობაა.

ამასთანავე ხმებია ამათში გავრცელებული, ვითომც ამათ დასახსნელად ინგლისს გამოეცხადებინოს რუსეთისთვის ომი და სხვათა შორის ესეც არის მიზნეზი, რომ ოსმალეთში გარდასახლებას იკვიანებენ.

ამგვარად ატარებენ დროებას თითქმის შუალამედის და შემდეგ მიდიან თავ-თავიანთ სახლებში.

მაშ აბა იქაც შეეყვეთ ვისმე. (ზაგრძელება იქნება)





თან მიუყვანია გავლილ იენისში ერთს ახალგაზდა კაცს—ტიურიკოვს ცხენი და მიუბარებია იმისათვის სარჩენათ. შემდეგ ამ კაცმა იყიდა თურმე შარაბანი და ყველა მოსაწყობი და მუდამ დღე იმისაგან გამოგზავნილ კაცს მიჰყავდა ეს შარაბანი და საღამოს უკანვე აბრუნებდა. 4 ივლისს, როდესაც მეზენცოვი მოჰკლეს, დილით აღრე წაიყვანა იმან ცხენი, საღამოს გვიან დააბრუნა და მას აქეთაზრც ცხენი და აღარც შარაბანი აღარ მოუკითხავსთო.

ეს ტიურიკოვი და ერთიც იმის ამხანაგი პაპკოვსკი დაიჭირეს ამ დღეებში პეტერბურლის ერთს ტრაქტირში და როცა საჯინბოზს პატრონს უჩვენეს, ამან სთქვა, რომ ეს ის კაცი არისო, რომელმანც ცხენი მომბარაო. ჯერ-ჯერობით ამის მეტი არა შეუტყუიათ-რა.

### ტელეგრაფები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

**ლაზორი**, 22 ნოემბერს. აგვანელებმა გაიყვანეს თავის ჯარები ღალოლაბადი-დამ. შევლა უფრო ახლოს აგვანის ჯარები ახლა ძაბულშია. ღენ. რომბერტსმა ორჯერ გააჩერა თავის ჯარები პეივართან და მიტანისთან, რადგან სურსათს მოელოდა. აგვანისტანის ჯარებს მაგარი პოზიციები უჭირავს პეივარის მთის გზებზე. ხეიბერის მთებიდან შეტაკების თაობაზედ არაფერი ამბავი არ მოსულა.

**სტამბოლი**, 22 ნოემბერს. ხეირდინფაშა მთავარ-რეზირად დანიშნა, ტურანსადე-ესად—შეიხ-ულ-ილაშთ, ჰაზი-მ. მან-ფაშა—სამხედრო მინისტრად, საიდფაშა—იუსტიციის მინისტრად, ძადრიფაშა—შინაგანი საქმეების მინისტრად, შარა-თეოდორი-ფაშა—ვაჭრობის მინისტრად. მსმალეთის არტილერიის უფროსი შემდეგში დანიშნება.

**კაბარბურლი**, 22 ნოემბერს. „მმართველობის მოამბეში“ გამოცხადებულია შმალესი მანიფესტი, რომელიც გვაცნობებს, რომ მეგვიდრის მეუღლე გუშინ მშვიდობით განთავისუფლებულა ძეობისაგან, დაბადებია ვაჟი, რომლისთვისაც სახელად უწოდებიათ მიხაილ.

**კაბარბურლის ბირჟა**, 24 ნოემბერს.

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ბანკის ბილეთები:	მან. კაპ.
პირველი გამოცემის —	96—25
მეორე —	95—25
მესამე —	95—
მეოთხე —	95—12
აღმოსავლეთის პირ. —	92—
აღმოსავლეთის მეორე —	91—25
მქრო, 1/2 იმპერიალი —	8—38

მთელ. თავად-აზნ. ბანკის გირაოს ფურცელი — „ — „  
შინაგანი 5% სესხის ბილეთები:

	მან. ძაპ.
პირველი სესხის —	235 — 5
მეორე სესხის —	229 — 5

1 მანეთი ღირს:

ლონდონი —	23—37	პენსი
ამსტერდამი —	118—12	ცენტი
ბერლინი —	199—50	ჰენიგი
პარიჟი —	246—	სანტიმი
ძაქასიის კერასინი —	„ — „	

### განცხადებანი

დაიბეჭდა და ისყიდება საქარტოველოს

### კალენდარი

შასი 20 კაპეიკი  
შედგენილი ი. ლიძისაგან და გამოცემული ქ. ხელაძისაგან.

თფილისში, ყველა წიგნების მაღაზიაში. ბორში: ძამოვეის მაღაზიაში. ქუთაისში: ძ. მესხის წიგნის მაღაზიაში და ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში. შოთაში: მლისბარ ბაბლოვთან, მსურგეთში, ბრიგოლ ჯინკარაძის მაღაზიაში.—

შინც 100 ეგზ. ერთათ გაიწერს, იმას ეგზემპლიარი 15 კაპეიკათ დაეთმობათ.—

ატრეტევე ამ დღეებში გამოვა ბეჭედოდან და იქმნება გასასყიდათ ამავე აღმლებზედ: ივ. ძერესელიძის **ლექსების** გამოცემული ექვთიმე ხელაძისაგან.

შასი ყველგან 50 კაპ. (5—2)

დაიბეჭდა და ისყიდება ა. თუთაეის სამ-მოქმედებიანი კომედია; „**რძალი, გული და მაშინიკაპი**“—თ ფილისში: ბრიჭუროვის, შართანოვის და ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში,

მლადი კაეკაზს: ბიორგი ბართოვთან, ბორში: ზაქარია ღონდაროვთან, ცხინვალში: თ. მანო თაქთაქოვთან, საქაშეთს: თ. ნიკო დიასამცსწის მეჯერი ხეხეს: მასწავლებელ მოსენათაძესთან, ქუთაისს: ძ. მესხის წიგნის მაღაზიაში და დ. ბოკერასთან, სამტრედიას: იორდანე სიხარულიძესთან, შოთაში, მლიზბარ ბაბლოვთან.

ამავე პირებთან ისყიდება ამავე თუთაეის მეორე კომედია.—**„სოლი ვიტირო, თუ ვული?“**

(6—5)

რბ. ზსა.	დღო.	საღა.	II კ.	III კ.	ტელეგრაფი	მან. კაპ.	მაზანდა	მან. კაპ.	თფილისის სამკურნალო.
თფილისი . . .	9 21	5 18	მ. კაპ.	მ. კაპ.	მ. სიტყვა თფილ სიღამ:		თფილისი, 23 ნოემბერს.		მრევნ. ს. მადანზე, წ. ნამძღვარ-ავის სახლებში.
მცხეთა . . .	10 11	6 27	68	38	ძაქასიის აქეთა მზრის ყველა ქალაქებში . . . . .	50	შქე. თეთ. ბანჯიხა, ფთ.	180	აგათყოფებს მიიღვენ ყოველს დღე დილის 9 საათიდან 1-მდინ.
ბორი . . .	11 58	9 43	2 40	1 33	როსტოვს, მდესას, მოსკოვს	2	შქელი წითელი . . . . .	150	მ. რ. შაბათს: მერმიშევი და ბარლევინ—შინაგ. ავთა., ქიუჩარიანც—საჯარო ექიმი და საშვილოს ოპერაციები.
ხაშური . . .	1 29	11 57	3 92	2 18	პეტერბურს, შარაგას . . . . .	2	შერი ფუთი . . . . .	120	სამ შაბათს: მერმიშევი—შინაგ. ა. ბ. ხუტოვი—საბებიო და ბავშვის, პეტუნოვი—თვალის.
სურამი . . .	1 44		4 42	2 46	მსმალეთში, შვიციტოიაში . . . . .	3	ბაზა მრევისა, ფუთი . . . . .	650	მ. თ. შაბათს: მერმიშევი—შინაგ. ა. ბ. ხუტოვი—საბებიო და ბავშვის, პეტუნოვი—თვალის.
შვილია . . .	5 49		5 81	3 23	იტალია და ს. გ. რ. გ. თ. შ. . . . .	3 50	— ამერიკია, ფუთი . . . . .	730	მ. თ. შაბათს: მერმიშევი—შინაგ. ა. ბ. ხუტოვი—საბებიო და ბავშვის, პეტუნოვი—თვალის.
რიონი . . .	6 5		6 75	3 75	ინგლისში . . . . .	3 75	ბაქტალი ბ მბა ფუთი . . . . .	10	მ. თ. შაბათს: მერმიშევი—შინაგ. ა. ბ. ხუტოვი—საბებიო და ბავშვის, პეტუნოვი—თვალის.
სამტრედია . . .	7 51		7 73	4 29			მატყელი თუშური ფუთი . . . . .	750	მ. თ. შაბათს: მერმიშევი—შინაგ. ა. ბ. ხუტოვი—საბებიო და ბავშვის, პეტუნოვი—თვალის.
ახალ-სენაკი . . .	8 43		8 57	4 76			— თარაქამისა ფუთი . . . . .	550	მ. თ. შაბათს: მერმიშევი—შინაგ. ა. ბ. ხუტოვი—საბებიო და ბავშვის, პეტუნოვი—თვალის.
შოთი . . .	9 50		9 75	5 42			აბრეშუმი ნუხური სტ . . . . .	2	მ. თ. შაბათს: მერმიშევი—შინაგ. ა. ბ. ხუტოვი—საბებიო და ბავშვის, პეტუნოვი—თვალის.
შოთი . . .	9	3			ა) თფილისიდან: სამზღვარ გართ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და ხუთშ. მსურ.—პარასკ. და ორშ. ძახეთს—საშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდან: თფილისისა და შოთისკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. მსურგეთს—ორშ. და პარასკ.		შონის სანთლი ფუთი . . . . .	680	მ. თ. შაბათს: მერმიშევი—შინაგ. ა. ბ. ხუტოვი—საბებიო და ბავშვის, პეტუნოვი—თვალის.
ახალ-სენაკი . . .	10 14		1 18	-66			სტეარინის სანთელი ფთ. . . . .	1250	მ. თ. შაბათს: მერმიშევი—შინაგ. ა. ბ. ხუტოვი—საბებიო და ბავშვის, პეტუნოვი—თვალის.
სამტრედია . . .	11 5		2 6	1 14			ხორცი ძროხისა, ლიტ. . . . .	81	მ. თ. შაბათს: მერმიშევი—შინაგ. ა. ბ. ხუტოვი—საბებიო და ბავშვის, პეტუნოვი—თვალის.
რიონი . . .	12 13		3 4	1 69			— ცხვრისა, ლიტრა . . . . .	90	მ. თ. შაბათს: მერმიშევი—შინაგ. ა. ბ. ხუტოვი—საბებიო და ბავშვის, პეტუნოვი—თვალის.
ქუთაისი . . .	1 18	ლაგ.	3 98	2 21			სპირტი ვერო . . . . .	480	მ. თ. შაბათს: მერმიშევი—შინაგ. ა. ბ. ხუტოვი—საბებიო და ბავშვის, პეტუნოვი—თვალის.
სურამი . . .	5 12		1 10	5 33			შაქარი, ბროც. ფუთი . . . . .	740	მ. თ. შაბათს: მერმიშევი—შინაგ. ა. ბ. ხუტოვი—საბებიო და ბავშვის, პეტუნოვი—თვალის.
ხაშური . . .	5 39		1 37	5 84			— ფენილი ფუთი . . . . .	640	მ. თ. შაბათს: მერმიშევი—შინაგ. ა. ბ. ხუტოვი—საბებიო და ბავშვის, პეტუნოვი—თვალის.
ბორი . . .	7 5		4 8	7 36			შავი გრგვლი, გირვ . . . . .	70	მ. თ. შაბათს: მერმიშევი—შინაგ. ა. ბ. ხუტოვი—საბებიო და ბავშვის, პეტუნოვი—თვალის.
მცხეთა . . .	8 50		6 59	9 8			ხეთი ქუნჯულისა ფუთი . . . . .	1280	მ. თ. შაბათს: მერმიშევი—შინაგ. ა. ბ. ხუტოვი—საბებიო და ბავშვის, პეტუნოვი—თვალის.
თფილისი . . .	9 31		7 56	9 75			თამბაქო, ს. შულო ფთ. . . . .	680	მ. თ. შაბათს: მერმიშევი—შინაგ. ა. ბ. ხუტოვი—საბებიო და ბავშვის, პეტუნოვი—თვალის.